



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1663
10/09/2018

ქალაქი ბათუმი

1663-05-4-201809101604



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით ერთჯერადი ჯილდოს გაცემის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულების დანართი №4-ით დამტკიცებულია „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც გაიცემა 2017 - 2018 წწ მეორე სემესტრში მიღებული 91 და მეტი (A კატეგორიის) ქულების შესაბამისად საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სტუდენტებზე. პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული იქნა სულ 37 სტუდენტის განცხადება, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე. ქვეპუნქტის და ხელვაჩაურის გამგებლის 2018 წლის 29 აგვისტოს №1600 ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით ერთჯერადი ჯილდოს სახით ჩაერიცხოს თითო სტუდენტს 500.00 (ხუთასი) ლარი ცხრილი №1-ის შესაბამისად, სულ 18500 ლარი.

2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლების და კულტურის სამსახურს.


4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is written over the official title. The signature is fluid and cursive, with a large loop at the end.